



საჩუქრეთა წიგნი

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

სარეკომენდაციო წერილი

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობას

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2020 წლის
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების
აუდიტი

საქართველოს თავდაცვის მინისტრს

ბატონ ჯუანშერ ბურჭულაძეს

ბატონო ჯუანშერ,

გაცნობებთ, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა განახორციელა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი. შედეგად გაიცა უარყოფითი დასკვნა.

აუდიტი ჩატარდა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად.

აუდიტის შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებების საპასუხოდ, წარმოგიდგენთ ჩვენს რეკომენდაციებს და ხელმძღვანელობისთვის მნიშვნელოვან სხვა ინფორმაციას.

მიუხედავად გამოვლენილი ნაკლოვანებებისა, გვინდა აღვნიშნოთ 2020 წელს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს აპარატის მიერ მიღწეული პროგრესი, წლების მანძილზე აღრიცხვა-ანგარიშგებაში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების აღმოფხვრის, სააღრიცხვო სისტემის გამართვისა და ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად და უტყუარად წარდგენის მიმართულებით.

პატივისცემით,

ერეკლე მექვაბიშვილი

გენერალური აუდიტორი

შინაარსი

ტერმინები და შემოკლებები.....	3
1. რეკომენდაციები.....	4
2. ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული კორექტირებები.....	21
3. კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შეუსაბამობის საკითხები	25
4. წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა	26
საკონტაქტო ინფორმაცია.....	31

ტერმინები და შემოკლებები

სამინისტრო – საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.

ანგარიშგება – კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება.

აკადემია – სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემია.

დელტა – სსიპ – სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი
„დელტა“.

კიბერუსაფრთხოება – სსიპ – კიბერუსაფრთხოების ბიურო.

ლიცეუმი – სსიპ – გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა
სამხედრო ლიცეუმი.

სამხედრო ქვედანაყოფი – ფინანსური ანგარიშგების აუდიტის
მიზნებისთვის თავდაცვის ძალებში შემავალი ის სტრუქტურული
ერთეულები, რომლებიც ანგარიშვალდებულნი არიან ფინანსების მართვის
დეპარტამენტთან.

სპეციფიკური დანიშნულების აქტივები – ფინანსური ანგარიშგების
აუდიტის მიზნებისთვის სპეციფიკური დანიშნულების აქტივებად
განხილულია საბრძოლო მასალა, იარაღი, ტყვია-წამალი და სხვა მსგავსი
ტიპის აქტივები.

სსბასს – საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო
სტანდარტები.

ჯლუსი – ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლობა.

ჰოსპიტალი – სსიპ – გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს
თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალი.

1. რეკომენდაციები

1.1 ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების სისტემის ნაკლოვანებები

აუდიტის მიგნება

სამინისტროს აპარატში ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში არსებობს კონტროლის გარემოს ნაკლოვანებები. აღნიშნული ვერ უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშგების სამართლიან წარდგენას და გამოიხატება ანგარიშგების მომზადების პროცესში სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებს შორის არასრულყოფილი ინფორმაციის გაცვლაში, დროში გახანგრძლივებულ კომუნიკაციასა და ფინანსების მართვის დეპარტამენტის, როგორც მაკონტროლებელი რგოლის, სისუსტეში.

აღსანიშნავია, რომ ფინანსური და ლოგისტიკური აღრიცხვის გაუმჯობესების მიზნით სამინისტროს მიერ 2020-2021 წლებში მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა, კერძოდ:

- 2020 წლიდან სამინისტროს აპარატს თავდაცვის ძალების შესაბამისი საფინანსო ერთეულებისაგან პერიოდულად წარედგინება შესაბამისი ანალიზური აღრიცხვის მონაცემები;
- სამინისტროს განმარტებით, 2021 წლიდან დაიწყო კონტროლის მექანიზმების გამოყენება არაფინანსური აქტივების მოძრაობის ყოველთვიური უწყისებისა და არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის ფორმების მიხედვით;
- 2020 წლიდან დაიწყო რესურსების მართვის ინტეგრირებული სისტემის დანერგვის პროცესი.¹ სამინისტროს განმარტებით, აღნიშნული სისტემა სრულყოფილად ამოქმედების შემდეგ, უზრუნველყოფს სამინისტროს აპარატსა და ქვედანაყოფებს შორის არსებული აღრიცხვა-ანგარიშგების ნაკლოვანებების აღმოფხვრას.

მიზეზი

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში არსებული ნაკლოვანებები, კერძოდ:

- სარდლობებსა და ბრიგადებში ბუღალტერ-აღმრიცხველები აქტივებისა და ვალდებულებების აღრიცხვას აწარმოებენ ორი განსხვავებული ფორმით: აღრიცხვის ჟურნალებში რაოდენობრივად და Microsoft Excel-ის ფორმატში თანხობრივად (აქტივების მიღება-გასვლის ოპერაციები). აქტივების მნიშვნელოვანი ნაწილი მხოლოდ რაოდენობრივად არის აღრიცხული,² რაც არ შეესაბამება აღრიცხვა-ანგარიშგების

¹ საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანება 2020 წლის 4 მარტის ბრძანება MOD 6 20 00000217.

² 1994 წელს დამტკიცებული: საქართველოს შეიარაღებულ ძალებში შეიარაღების, ტექნიკის, ქონების და სხვა მატერიალური საშუალებების აღრიცხვის სახელმძღვანელო.

მეთოდოლოგიის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.³ ამასთანავე, განსხვავებული ფორმატისა და არაიდენტიფიცირებული მონაცემების გამო,⁴ რაოდენობრივი აღრიცხვისა და თანხობრივი ინფორმაციის ერთმანეთთან დაკავშირება გართულებულია და რიგ შემთხვევებში ვერ ხერხდება;

- სამინისტროს აპარატის ფინანსების მართვის დეპარტამენტში სამხედრო ქვედანაყოფებიდან მიღებული ფინანსური ინფორმაცია აღირიცხება მხოლოდ ყოველთვიური ჯამური თანხით.⁵

გავლენა

სარდლობებისა და ქვედანაყოფების დონეზე სააღრიცხვო მონაცემები არაინფორმაციულია და ფინანსების მართვის დეპარტამენტის მიერ სრულყოფილად ვერ ხორციელდება ეკონომიკური მოვლენების კონტროლი. ასევე, სარდლობებისა და მათი ქვედანაყოფების მიერ სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტსა და ჯალუსში⁶ დამოუკიდებლად (ინდივიდუალურ დონეზე) წარმოდგენილი აქტივების რაოდენობრივი მონაცემები და აქტივებთან დაკავშირებული სხვა ფინანსური ინფორმაცია, ვერ უზრუნველყოფს ურთიერთშესაბამისობასა და სანდოობას. რიგ შემთხვევაში არ არის დროული და ეფექტიანი კომუნიკაცია სტრუქტურულ ერთეულებს შორის, რის გამოც ქვედანაყოფებსა და სამინისტროში ეკონომიკური მოვლენები აისახება სხვადასხვა პერიოდში.⁷

რეკომენდაცია

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით თავდაცვის სამინისტროს 2019 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში გაიცა რეკომენდაცია, რომლის შესრულების სტატუსია: **მიმდინარე**.

იხილეთ თავი 4. წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა - რეკომენდაცია N1.

კომპონენტები, რომლებზეც

გაიცა რეკომენდაცია

სამინისტროს აპარატი

შესასრულებლად

³ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბას-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე.

⁴ ინფორმაცია მოიცავს გრძელვადიანი აქტივების, მატერიალური მარაგებისა და მცირეფასიანი აქტივების მოძრაობას (მიღება/გასვლა), მაგრამ არ მოიცავს აქტივების აღრიცხვისთვის სხვა მნიშვნელოვან საკითხებს, როგორებიცაა: დასახელება, მოდელი, პირველადი დოკუმენტი, რაოდენობა.

⁵ თუ აქტივები მხოლოდ რაოდენობრივად არის აღრიცხული და თანხობრივი შეფასება არ აქვს, ასეთ შემთხვევაში მისი რაოდენობრივი ხარჯვა/გასვლა კონტროლდება ქვედანაყოფის და ჯალუსის დონეზე, თუმცა ინფორმაცია არ ხვდება ფინანსების მართვის დეპარტამენტში.

⁶ აღრიცხვა-ანგარიშგების კუთხით ჯალუსის სარდლობის ფუნქცია-მოვალეობას წარმოადგენს თავდაცვის ძალების აქტივების მხოლოდ რაოდენობრივი კონტროლი და აღრიცხვა.

⁷ 2019 წლის დეკემბერში გრანტის სახით მიღებული (მიღება-ჩატარების აქტი N298-01) 4,758,776 ლარის სატრანსპორტო საშუალებები, ქვედანაყოფის მიერ აღრიცხულია დაგვიანებით, 2020 წლის თებერვალში.

1.2 ინვენტარიზაციის ნაკლოვანებები

აუდიტის მიგნება

სამინისტროს ზოგიერთ სტრუქტურულ ერთეულში 2020 წელს ინვენტარიზაციის პროცესს ახლდა გარკვეული ნაკლოვანებები, კერძოდ:

- სამინისტროს აპარატის და აკადემიის მიერ განხორციელებული ინვენტარიზაციის⁸ შედეგები არ არის ასახული 2020 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში;
- სსიპ – სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტას“ მიერ არ ჩატარებულა 2020 წლის უძრავი ქონების, ასევე მოთხოვნა/ვალდებულებების ინვენტარიზაცია;⁹
- სსიპ – სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტას“ 2020 წლის სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის პროცესი ამ დრომდე არ დასრულებულა;
- სსიპ – თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლას 2020 წელს არ ჩატარებია ინვენტარიზაცია.

აღრიცხვა-ანგარიშგების პროცესში არსებული სისტემური ნაკლოვანებებისა და უზუსტობების გამო, აუდიტის ჯგუფისთვის არ არის სარწმუნო სამინისტროს აპარატის მიერ ჩატარებული ინვენტარიზაციები და მათი შედეგები.

ინვენტარიზაციის შემაჯამებელ ოქმებში აქტივები წარმოდგენილია ჯამურად, ქვედანაყოფების მიხედვით, შედეგად არ არის შესაძლებელი ერთეული აქტივის იდენტიფიკაცია. სამინისტროს აპარატის ფინანსური სამსახურის მიერ ინვენტარიზაციის მონაცემების შედარება ბუღალტრულ ნაშთებთან ხდება ჯამურად, შემაჯამებელი ოქმების მიხედვით.

სამინისტროს განმარტებით, ინვენტარიზაციის არასრულყოფილად ჩატარების მნიშვნელოვანი მიზეზია აქტივების ღირებულების გარეშე აღრიცხვა. აღსანიშნავია, რომ აქტივების რაოდენობრივი აღრიცხვის პრაქტიკა ძალოვანი უწყებებისთვის დამახასიათებელია. ისტორიული კონტექსტიდან და საკითხის კომპლექსურობიდან გამომდინარე, აღნიშნული ნაკლოვანების აღმოფხვრა გრძელვადიანი პროცესია. სამინისტროში ხორციელდება აქტივების შეფასებასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრის ღონისძიებები.

დელტაში ანგარიშის დამტკიცების მდგომარეობით¹⁰ დასრულებულია მხოლოდ ცენტრალურ საწყობში არსებული სასაქონლო-მატერიალურ

⁸ 2020 წლის 28 დეკემბრის საინვენტარიზაციო აქტი N498.

⁹ დელტას გენერალური დირექტორის 2021 წლის 22 ნოემბრის ბრძანებით N MOD 2 21 00000438 შეიქმნა მოთხოვნების და ვალდებულებების საინვენტარიზაციო კომისია.

¹⁰ ობიექტის განმარტებით სამუშაოების დიდი მოცულობიდან გამომდინარე პროცესი გრძელდება დღემდე, მიმდინარეობს შედარებების და აქტის გაფორმების პროცესი.

ფასეულობათა ინვენტარიზაცია,¹¹ თუმცა ინვენტარიზაციის შედეგების ასახვა ფინანსურ ანგარიშგებაში არ განხორციელებულა. გარდა ამისა, ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ნაკლოვანებები:

- დელტას ცენტრალურ საწყობში არსებული სხვადასხვა სახის ქონების იდენტიფიკაცია და ვარგისიანობის დადგენა შეუძლებელია კვალიფიციური ექსპერტის/სპეციალიზებული კომისიის გარეშე;
- ძირითადი აქტივების ნაწილი¹² ღირებულების გარეშე, მხოლოდ რაოდენობრივად არის აღრიცხული;
- აქტივების გარკვეულ ნაწილს არა აქვს მინიჭებული საინვენტარიზაციო კოდი;
- ცენტრალური საწყობის ინვენტარიზაციის ოქმის¹³ მიხედვით, ვერ ხერხდება ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი სხვადასხვა მატერიალური ფასეულობის¹⁴ ფინანსური აღრიცხვის მონაცემებთან შედარება;
- ინვენტარიზაციის შედეგად მოძიებული 144 დასახელების სხვადასხვა ტიპის ქონება არ არის აღრიცხული ფინანსურ ანგარიშგებაში.

მიზეზი

ინვენტარიზაციის არასრულყოფილად განხორციელება; აქტივების არასათანადო კონტროლი; აქტივების უმრავლესობა არ არის ასახული ღირებულებით და მხოლოდ რაოდენობრივი მონაცემებია წარმოდგენილი;¹⁵ დელტას სარგებლობაში არსებული მიწისა და შენობა-ნაგებობების ნაწილით სარგებლობენ სხვადასხვა კომპანიები,¹⁶ რომელთა აქტივების გამიჯვნა დელტას აქტივებისაგან გართულებულია.

გავლენა

ფინანსურ ანგარიშგებაში არსებული შესაძლო უზუსტობები. აქტივების დაცულობის რისკი.

რეკომენდაცია

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენისა და კონტროლის გარემოს გაუმჯობესების მიზნით, სამინისტროს ყველა დაქვემდებარებულმა უწყებამ ყოველწლიურად შექმნას საინვენტარიზაციო კომისიები, უზრუნველყონ არაფინანსური აქტივების ფაქტობრივი ნაშთების შემოწმება და ინვენტარიზაციის შედეგების ასახვა შესაბამისი წლის ფინანსურ ანგარიშგებაში.

¹¹ საინვენტარიზაციო აქტი N090, 2021 წლის აპრილი.

¹² 200 დასახელების სხვადასხვა ძირითადი აქტივი.

¹³ საინვენტარიზაციო აქტი N090, 2021 წლის აპრილი.

¹⁴ ექსპლუატაციისთვის გამოუსადეგარი ქონება და 397 ცალი სხვადასხვა ტიპის მატერიალური ფასეულობა.

¹⁵ წონა, ერთეული, მოცულობა და ა.შ.

¹⁶ „დელტას“ მიერ დაფუძნებული კომპანიები, სს „თამ“ თბილავიამშენი და შპს „თბილავიამშენი“.

**კომპონენტები, რომლებზეც
გაიცა რეკომენდაცია
შესასრულებლად**

სამინისტრო

1.3 მოთხოვნები

აუდიტის მიგნება

სამინისტროს 2020 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „მოთხოვნების“ მუხლის საბოლოო ნაშთი შეადგენს 438,329,028 ლარს, საიდანაც 92% აპარატის მოთხოვნებია.

2020 წელს დებიტორული/კრედიტორული დავალიანების შემსწავლელი კომისიის ოქმების საფუძველზე ჩამოიწერა 35,446,057 ლარის დებიტორული დავალიანება,¹⁷ რომელთა დიდი ნაწილი წარმოშობილი იყო 1996-2007 წლებში. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აპარატის ბალანსზე რიცხული დებიტორული დავალიანების ნაწილზე,¹⁸ მათი წარმოშობის შემდგომ (2007- 2012 წწ.) არ განხორციელებულა ოპერაციები, შესაბამისად, აღნიშნული მოთხოვნების მიღების ალბათობა მცირეა.¹⁹

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით **დელტას** ფინანსური ანგარიშგების „დებიტორული დავალიანების“ მუხლი მოიცავს სს „თამ“ თბილავიამშენის მიმართ 2,088,020 ლარის მოთხოვნას, რაც უკავშირდება 2017-2020 წლების ხელშეკრულებების²⁰ ფარგლებში სხვადასხვა შეკვეთის შესრულებას. მათ შორის, 1,128,000 ლარის დავალიანება წარმოადგენს საავანსო ანგარიშსწორებას,²¹ რომლის შესაბამისი აქტივები ამ დრომდე არ არის მიღებული.²²

მიზეზი

ხანდაზმული დავალიანებების რეალობის დადგენასთან და პირველადი დოკუმენტაციის მოძიებასთან დაკავშირებული სირთულეები; დებიტორებთან სათანადო კომუნიკაციის ნაკლებობა; ინვენტარიზაციის არასრულყოფილად ჩატარება და დავალიანებების დაფარვის ალბათობის შეუფასებლობა; დებიტორული დავალიანებების ამოღებასთან დაკავშირებული დაგვიანებული

¹⁷ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 5 ნოემბრის ბრძანება N811; საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2021 წლის 30 აპრილის ბრძანება N358; საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2021 წლის 22 აპრილის ბრძანება N315.

¹⁸ 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აპარატის ბალანსზე არსებული მთლიანი დებიტორული დავალიანების 45%, 182,588,856 ლარის ოდენობით.

¹⁹ დებიტორული დავალიანებების შესახებ გენერალური ინსპექციის მიერ მიმდინარეობს მოკვლევა.

²⁰ ხელშეკრულება N19-207, 15.07.2019; ხელშეკრულება N621/სს-2017, 14.09.2017.

²¹ 2019 წლის 15 ივლისის ხელშეკრულება N19-207.

²² შიდა აუდიტის დასკვნა N CON/-2020-07-02-5653;

	ქმედებები; ძველი პერიოდის დავალიანებების მნიშვნელოვანი ნაწილი სამართლებრივი შესწავლის საგანს წარმოადგენს.
გავლენა	ფინანსური ანგარიშგების „მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებების“ და „სხვა მოკლევადიანი მიმდინარე აქტივების“ მუხლებში არსებული უზუსტობები. ფინანსური დანაკარგების რისკი.
რეკომენდაცია	აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით თავდაცვის სამინისტროს 2019 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში გაიცა რეკომენდაცია. რომლის შესრულების სტატუსია: მიმდინარე . იხილეთ თავი 4. წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა - რეკომენდაცია N4.
კომპონენტები, რომლებზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად	სამინისტროს აპარატი, დელტა
1.4 მატერიალური მარაგები	
აუდიტის მიგნება	სამინისტროში მატერიალური აქტივების მართვის კუთხით გამოვლინდა სისტემური პრობლემები და უზუსტობები, მაგალითად: სამინისტროს აპარატს და მასში შემავალ ქვედანაყოფებს²³ არ აქვთ შემუშავებული ძირითად აქტივებზე გაწეული დანახარჯების სააღრიცხვო პოლიტიკა. შედეგად, რემონტთან დაკავშირებული ყველა ტიპის დანახარჯი აღირიცხება მიმდინარე პერიოდის ხარჯად. სამინისტროს არ აქვს შემუშავებული სააღრიცხვო პოლიტიკა ძირითადი აქტივების დაშლის შედეგად მიღებული ვარგისი მატერიალური მარაგების შეფასებასა და აღრიცხვასთან დაკავშირებით. მაგალითად, 2018 წელს სამინისტროს აპარატის ბალანსზე რიცხული 13 ერთეული, შემდგომი ექსპლუატაციისათვის გამოუსადეგარი სატვირთო ავტომობილისგან²⁴ მიღებული ვარგისი მეორეული ნაწილები აღრიცხულია ნულოვანი ღირებულებით.
აუდიტის მიგნება	2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დელტას მატერიალური მარაგების ნაშთი შეადგენს 28,086,129 ლარს, რაც არ ასახავს საანგარიშგებო წლის ბოლოს ფაქტობრივ მდგომარეობას, რადგან საწარმოო პროცესების აღრიცხვა არ ხდება თანმიმდევრულად. ²⁵

²³ მაგალითად, „სავტომობილო ტექნიკის სარემონტო ბაზას“, 2020 წელს ძირითად აქტივებზე გაწეული „ყველა დანახარჯი“ ასახული აქვს „მიმდინარე პერიოდის“ ხარჯად.

²⁴ გენერალური შტაბის უფროსის 2017 წლის 14 დეკემბრის ბრძანება N819.

²⁵ საწარმოო პროცესში გამოყენებული „ნედლეულის და მასალების“ მუხლიდან „დაუმთავრებელი წარმოების“ მუხლში გადატანა ხდება

- „ნედლეულის და მასალების“ მუხლში ნაშთად ირიცხება 6 ერთეული სატრანსპორტო საშუალება, ჯამურად – 1,156,554 ლარის ღირებულებით, რაზეც 2020 წელს განხორციელდა საწარმოო სამუშაოები და შეიქმნა მოდიფიცირებული ჯავშანტექნიკა. თუმცა, ფინანსურ ანგარიშგებაში აქტივები წარმოდგენილია თავდაპირველი ღირებულებით და არ არის ასახული მათზე განხორციელებული კაპიტალური დანახარჯები;
- 2020 წლის ბუღალტრული ჩანაწერების მიხედვით, 12,325,000 ლარის მატერიალურ მარაგებზე ბრუნვა არ განხორციელებულა, პასუხისმგებელი პირების განმარტებით კი – მარაგების ნაწილი ფაქტობრივად გახარჯულია²⁶ სხვადასხვა საწარმოო პროცესზე.

აუდიტის მიგნება

თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთ ქვედანაყოფში ღირებულების გარეშე აღრიცხული 5000-მდე დასახელების²⁷ სპეციფიკური დანიშნულების მარაგი. აღნიშნული პრაქტიკა გავრცელებულია სხვა ქვედანაყოფებშიც. დელტას ბალანსზე ღირებულების გარეშე აღრიცხული 5,600 დასახელების²⁸ მარაგი.

მიზეზი

თავდაცვის სამინისტრო ფლობს სპეციფიკურ აქტივებს (ნაწილი გადმოცემულია სსრკ-ის დაშლის შედეგად, ნაწილი შეძენილია/მიღებულია 1990-იან წლებში), რომელთა ფასები გარკვეულ შემთხვევებში, ობიექტური მიზეზების გამო უცნობია. აღნიშნული ნაკლოვანების გამოსწორება კომპლექსურ მიდგომას და შეფასების პოლიტიკის შემუშავებას საჭიროებს.

გავლენა

ფინანსურ ანგარიშგებაში არსებული „მატერიალური მარაგების“ ნაშთი არ ასახავს რეალურ ოდენობას. თავის მხრივ, აღნიშნული ვერ უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად და უტყუარად მომზადებას და წარდგენას. ამასთანავე, კონტროლის გარემოს ნაკლოვანებების გამო, არსებობს დანაკარგების წარმოშობის რისკები.

რეკომენდაცია

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით თავდაცვის სამინისტროს 2019 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში გაიცა რეკომენდაცია. რომლის შესრულების სტატუსია: **მიმდინარე**. იხილეთ თავი 4. წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა - რეკომენდაცია N5.

კომპონენტ(ებ)ი, რომელზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად

სამინისტროს აპარატი, დელტა

1.5 გრძელვადიანი არაფინანსური აქტივები

არა უშუალოდ მარაგების წარმოებაში ჩაშვებისას, არამედ პროექტის დასრულების შემდეგ. ასევე: „დაუმთავრებელი წარმოების“ მუხლიდან „მზა პროდუქციის“ მუხლში აქტივების გადატანა ხორციელდება არა უშუალოდ მზა პოდუქციის შექმნის დროს, არამედ პროექტის დასრულების შემდეგ.

²⁶ საანგარიშგებო წელს არ შედგენილა მარაგების ჩამოწერის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

²⁷ 30 მლნ-ზე მეტი რაოდენობის.

²⁸ 520,000-მდე რაოდენობის.

აუდიტის მიგნება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, **აპარატის** ფინანსურ ანგარიშგებაში მუხლის – „მიწა“ საბოლოო ნაშთი შეადგენს 1,380,492,753 ლარს. ამ მუხლთან დაკავშირებით აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით, 174 ჰა მიწაზე არ ფიქსირდება სამინისტროს სარგებლობის უფლება, თუმცა კვლავ ასახულია მის ფინანსურ ანგარიშგებაში;
- 106 ჰა მიწა სამინისტროს ფაქტობრივ სარგებლობაშია, თუმცა არ არის რეგისტრირებული სარგებლობის უფლება;
- სამინისტროს ფაქტობრივ სარგებლობაში აქვს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული 73 ჰა მიწის ფართობიდან მხოლოდ ნაწილი, თუმცა ვერ იმიჯნება ფაქტობრივ სარგებლობაში არსებული მიწის ფართობის ზუსტი მოცულობა;
- სამინისტროს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ისეთი მიწები, რაზეც განთავსებულია სამხედრო მოსამსახურეებზე პრივატიზებული, საკუთრებაში გადაცემული საბინაო ფონდი. შესაბამისად, მათზე დამაგრებული მიწის ნაკვეთებიც არ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, 745 ჰა მიწა ღირებულების გარეშე აღრიცხული. მათგან ნაწილი სამინისტროს ფაქტობრივ სარგებლობაშია, თუმცა არ ფიქსირდება სარგებლობის უფლება.

აღსანიშნავია, რომ გასულ წლებში მიწის ღირებულების გარეშე აღრიცხვის პრობლემას გაცილებით მასშტაბური ხასიათი ჰქონდა. 2020 წელს სამინისტრომ დაადგინა მიწების მნიშვნელოვანი ნაწილის ფასი,²⁹ რაც დადებითად უნდა შეფასდეს. ასევე სამინისტროს განმარტებით, 2021 წელს დასრულდა დარჩენილი მიწების შეფასების პროცესი და განხორციელდება მათი ასახვა 2021 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში.

აუდიტის მიგნება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, **დელტას** ფინანსურ ანგარიშგებაში „ძირითადი აქტივების“ მუხლის საბოლოო ნაშთი შეადგენს 78,889,583 ლარს. ამ მუხლთან დაკავშირებით აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- არასაცხოვრებელი შენობებისა და სხვა ნაგებობების ნაწილი წარმოდგენილია ღირებულების გარეშე;³⁰
- ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების ნაწილზე სარგებლობის უფლება რეგისტრირებული არ არის;

²⁹ 2020 წლის განმავლობაში სამინისტროს მიერ განხორციელდა წინა პერიოდში არსებული ღირებულების გარეშე მიწების ნაწილის 27,594,709 კვ.მ ფასების დადგენა, რის შედეგადაც აღნიშნული მუხლი გაიზარდა 111,543,331 ლარის ოდენობით.

³⁰ 7 ერთეული არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობა და 14 ერთეული სხვა ნაგებობა, რომელიც მიღებულია სს „თამ“ თბილავიამშენისგან უზურფრუქტით.

- სხვა მანქანა-დანადგარები და მოწყობილობის ნაწილი ღირებულების გარეშე წარმოდგენილი;³¹
- სხვა მანქანა-დანადგარების და მოწყობილობების ანგარიშზე ირიცხება დაზიანებული, მორალურად მოძველებული და ფიზიკურად ამორტიზებული მატერიალური ქონება, რომელიც არ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

აუდიტის მიგნება

დელტას მიერ 2020 წლის 31 დეკემბრით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების მიხედვით, „შენობა-ნაგებობების“ მუხლზე ირიცხება ობიექტები,³² რომელთა იდენტიფიცირება გართულებულია და ხშირ შემთხვევაში ვერ ხერხდება. ჩვენ ვერ მოვიპოვეთ რწმუნება აღნიშნული აქტივების არსებობასა და სიზუსტეზე.

მიზეზი

აქტივების ნაწილის მხოლოდ რაოდენობრივი აღრიცხვა; ზოგიერთი აქტივის შემენის/გადმოცემის დამადასტურებელი დოკუმენტების არარსებობა; თავდაცვის ძალებში აღრიცხვის პრაქტიკის შეუსაბამობა აღრიცხვა-ანგარიშგების მეთოდოლოგიის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

გავლენა

ფინანსურ ანგარიშგებაში „გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების“ მუხლის არაზუსტი წარდგენა, რაც არსებით გავლენას ახდენს სამინისტროს ფინანსურ ანგარიშგებაზე და ვერ უზრუნველყოფს მის სამართლიან წარდგენას; აქტივების არასრულყოფილი კონტროლი.

რეკომენდაცია

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით თავდაცვის სამინისტროს 2019 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში გაიცა რეკომენდაცია. რომლის შესრულების სტატუსია: **მიმდინარე**. იხილეთ თავი 4. წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა - რეკომენდაცია N6.

კომპონენტ(ებ)ი, რომელზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად

სამინისტროს აპარატი, დელტა

1.6 შემოსავლები

³¹ 172 დასახელების აქტივი.

³² მაგალითად, „ცივი“, „შაქრიანი რადარის ტერიტორიაზე შემოღობვის სამუშაოები“, „კრწანისის საჯარისო ცენტრი“, „ავტოფარების მოწყობა“, „აეპ და საკაბელო ხაზები“, „გო-ს ნაგებობა“ და სხვ.

აუდიტის მიგნება

სამინისტრო არ იღებს შემოსავლებს თავის ტერიტორიაზე განთავსებული სავაჭრო აპარატების იჯარიდან.

თავდაცვის სამინისტროს „ჯი პი აი“ ჰოლდინგთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულება თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით, რომლის მიხედვით, სამინისტროს სტრუქტურაში შემავალი **ჰოსპიტალი** წარმოადგენს ერთ-ერთ პროვაიდერ კლინიკას. სადაზღვევო კომპანიის მიერ ორგანიზაციისთვის თანხის ანაზღაურება ხდება კაპიტაციის მეთოდით.³³ 2020 წელს ჰოსპიტალის მოთხოვნა სადაზღვევო კომპანიის მიმართ შეადგენდა 2,221,602 ლარს, ხოლო კაპიტაციის მეთოდით სადაზღვევო კომპანიამ აუნაზღაურა 1,419,298 ლარი. ბუღალტრული ჩანაწერების მიხედვით ვერ ხდება 2020 წელს ჰოსპიტალის მიერ სადაზღვევო ხელშეკრულების ფარგლებში ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულების იდენტიფიცირება. შესაბამისად, ჩვენ ვერ ვადგენთ ხელშეკრულების ფარგლებში მიღებულ ფინანსურ შედეგს.

მიზეზი

საიჯარო ხელშეკრულებების არარსებობა; არასრულყოფილი ფინანსური აღრიცხვა.

გავლენა

შემოსავლების მიღებასა და აღრიცხვის სისრულესა და სიზუსტესთან დაკავშირებული რისკები.

რეკომენდაცია

შემოსავლების მიღებისა და აღრიცხვის სრულყოფის მიზნით:

- სამინისტრომ უზრუნველყოს იჯარის ხელშეკრულების გაფორმება მის ტერიტორიაზე განთავსებული სავაჭრო აპარატების წარმომადგენლობებთან;
- ჰოსპიტალმა შეიმუშაოს აღრიცხვის ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს კაპიტაციის შედეგად მიღებული შემოსავლების და შესაბამისი ხარჯების ანალიზს.

კომპონენტ(ებ)ი, რომელზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად

სამინისტროს აპარატი, ჰოსპიტალი

1.7 განმარტებითი შენიშვნები

³³ კაპიტაციის მეთოდი - ანგარიშსწორების ისეთი მეთოდი, როდესაც მომსახურების ანაზღაურება ხორციელდება შეთანხმებული პერიოდულობით, წინასწარ შეთანხმებული თანხების გადახდით, რომელთა ოდენობა დამოკიდებულია მზღვევლის გარკვეულ სადაზღვევო სქემაში გაერთიანებული დაზღვეულების რაოდენობაზე.

აუდიტის მიგნება

დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

2020 წლის 31 დეკემბრით წარდგენილ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია სსბას 20-ის – „დაკავშირებულ მხარეთა შესახებ განმარტებითი შენიშვნები“ – მოთხოვნათა შესაბამისად.

კერძოდ, განმარტებით შენიშვნებში არ არის მოცემული დეტალური ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციების შესახებ და არ არის წარმოდგენილი სტანდარტით მოთხოვნილი სხვა ინფორმაცია.³⁴

დელტასა და მასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს შორის ხორციელდება მნიშვნელოვანი რაოდენობის და ღირებულების ოპერაციები (მომსახურების მიღება, ნედლეულის/საქონლის ყიდვა/გაყიდვა, გადაცემა და სხვ.). ორგანიზაციებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების პირობები და მათი სამართლებრივი შედეგები, განსხვავდება დელტას მიერ სხვა არადაკავშირებულ ორგანიზაციებთან არსებული სამართლებრივი ურთიერთობისგან. გარკვეულ შემთხვევებში, სამინისტროს დაკავშირებული კომპანიების მიერ შეკვეთები მნიშვნელოვანი დავიანებით მიეწოდება.

გარდა ზემოაღნიშნულისა, გამოვლინდა ისეთი გარემოებები, რომლებიც უკავშირდება დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებულ ძველი პერიოდის ოპერაციებს და შეიცავს არამიზნობრივი ხარჯვის მნიშვნელოვან რისკებს.

- 2020 წლის მონაცემებით, დაკავშირებულ მხარეებზე ირიცხება ისეთი დებიტორული დავალიანებები, რომლებზეც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ოპერაციები არ განხორციელებულა. დოკუმენტაციის³⁵ მიხედვით, 2011 წელს უნდა განხორციელებულიყო მნიშვნელოვანი პროექტი, რაც მოიცავდა სხვადასხვა აქტივის შემოტანისა და წარმოების შესაძლებლობის შესწავლას. პროექტის ფარგლებში „დელტამ“ და ერთ-ერთმა პარტნიორმა არარეზიდენტმა კომპანიამ საქართველოში დააფუძნეს ერთობლივი საწარმო.³⁶ სამინისტროსთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, საწარმოს უნდა მიეღო გარკვეული სახის ტექნიკის წარმოების ნებართვა.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში სულ დახარჯულია 8,346,963 ლარი, რაც სავარაუდოდ წარმოადგენს არამიზნობრივ ხარჯს, ვინაიდან პროექტის მიზნები მიღწეული არ არის და გაურკვეველია აქტივებისა და მიღებული მომსახურების დანიშნულება. აღნიშნული საკითხი აუდიტის სამსახურის მიერ 2014 წელს გაგზავნილია სამართალდამცავ უწყებაში.³⁷

³⁴ სსბას 20, მუხლები: 27-41.

³⁵ 2011 წლის 23 თებერვლის ხელშეკრულება (გრიფით „საიდუმლო“).

³⁶ საერთო საწარმოში სსიპ - სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტას“ და კონტრაქტორი კომპანიის წილი 50-50%-ით განისაზღვრა.

³⁷ აღნიშნული საკითხი ასახულია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2019 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ანგარიშში.

- სამინისტროს სს „თამ“ თბილავიამშენთან არსებული სასამართლო დავების³⁸ პირობებში, 2020 წელს გაფორმებული აქვს 46,773,577 ლარის სხვადასხვა ხელშეკრულება.

მიზეზი

სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების სასამართლო დავების შესახებ. ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის პრინციპიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია განმარტებით შენიშვნებში სასამართლო დავების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა ან საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის მუხლში აღრიცხვა.

გავლენა

სააღრიცხვო პოლიტიკის არარსებობა; ფინანსური ანგარიშგების არასრულყოფილი წარდგენა.

ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები არ არიან უზრუნველყოფილნი მნიშვნელოვანი ინფორმაციით.

რეკომენდაცია

დელტამ ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში უზრუნველყოს შეიღობილ კომპანიებსა და მასთან დაკავშირებულ მხარეებთან დაკავშირებული ოპერაციების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება.

დელტამ უზრუნველყოს დაკავშირებულ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებების პირობების და მათი აღსრულების მექანიზმების იმგვარად ჩამოყალიბება, რომ ხელშეკრულების დარღვევისას არ დაზიანდეს ორგანიზაციისა და სამინისტროს ინტერესები.

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის პრინციპიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია **სამინისტრომ** უზრუნველყოს: განმარტებით შენიშვნებში სასამართლო დავების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა ან საჭიროების შემთხვევაში შესაბამის მუხლში აღრიცხვა.³⁹

კომპონენტ(ებ)ი, რომელზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად

სამინისტროს აპარატი, დელტა

1.8 შიდა პოლიტიკის ნაკლოვანებები

აუდიტის მიგნება

დელტა მიმდინარე შიდა სარემონტო სამუშაოებს ასრულებს უშუალოდ თავისი სტრუქტურული ერთეულების მეშვეობით.

³⁸ 2007-2018 წლებში სამინისტროს მიმართ წარმოშობილ დებიტორულ დავალიანებასთან დაკავშირებით.

³⁹ სსბასს 19 - ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები, პუნქტი 100.

	2020 წელს მიმდინარე რემონტის ხარჯი⁴⁰ შეადგენს 262,837 ლარს. ორგანიზაციაში შიდა სარემონტო სამუშაოების დროს არ ხდება პროექტის შესაბამისი ხარჯთაღრიცხვის შედგენა, რომლის მიხედვითაც უნდა განისაზღვროს კონკრეტულ ობიექტზე საჭირო რაოდენობის მასალებისა და დანახარჯების მოცულობა. ასევე: ვერ იქნა წარმოდგენილი 2020 წელს შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტები. გახარჯული მასალები აღირიცხება მარაგების/დაუმთავრებელი წარმოების ანგარიშზე, სანამ არ დაიხურება შესაბამისი შეკვეთა, ხოლო შეკვეთის დახურვა ხშირად ხორციელდება ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ.
აუდიტის მიგნება	დელტა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ორგანიზაციაა. დებულების მიხედვით,⁴¹ სხვადასხვა დანიშნულებასთან ერთად, მისი ერთ-ერთი ფუნქციაა მრეწველობაში სამხედრო დანიშნულების ნაკეთობების სერიული ათვისების, წარმოების ორგანიზება. გარდა აღნიშნულისა, სამხედრო თავდაცვითი დანიშნულების შეკვეთების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, ორგანიზაციამ უნდა მოახდინოს საცდელ-საკონსტრუქტო და საწარმოო-ტექნოლოგიური ბაზის შესაძლებლობების შესწავლა. მიუხედავად აღნიშნულისა, ორგანიზაციას არ აქვს შემუშავებული განვითარების პოლიტიკა, რომლითაც დეტალურად უნდა განისაზღვროს ორგანიზაციის საქმიანობა და საწარმოო მიმართულებები, სიმძლავრეები და წარმადობა, რაც აფერხებს პროცესების ეფექტიანობას.⁴²
მიზეზი	ხარჯთაღრიცხვის პოლიტიკისა და განვითარების პოლიტიკის არარსებობა.
გავლენა	შეკვეთების პრიორიტეტულობისა და შესრულების ვადების არაეფექტიანი კონტროლი; შიდა სარემონტო სამუშაოების არასათანადო კონტროლი.
რეკომენდაცია	სარემონტო სამუშაოების ხარჯეფექტიანად წარმართვის მიზნით, „დელტამ“ შეიმუშაოს შესაბამისი პოლიტიკა, რომლის მიხედვით, ყოველი სარემონტო სამუშაოს დაწყებამდე განისაზღვრება კონკრეტულ ობიექტზე საჭირო რაოდენობის მასალებისა და დანახარჯების მოცულობა. ორგანიზაციის საწარმოო პროცესებისა და ორგანიზაციის სარგებლიანობის, ასევე შემოსავლების გაზრდის მიზნით, მნიშვნელოვანია „დელტამ“ განსაზღვროს საწარმოო შესაძლებლობები და მის საფუძველზე შეიმუშაოს შესაბამისი სტრატეგია, სამოქმედო გეგმა.
კომპონენტ(ებ)ი, რომელზეც გაიცა რეკომენდაცია	დელტა
შესასრულებლად	

⁴⁰ შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტი.

⁴¹ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 25 დეკემბრის ბრძანება N139.

⁴² აღსანიშნავია, რომ ორგანიზაცია 2005 წლიდან საქმიანობს.

1.9 სააღრიცხვო სისტემის ნაკლოვანებები

აუდიტის მიგნება

დელტას არ აქვს ლოგისტიკური აღრიცხვის შესაბამისი პროგრამა, რომელიც შესაძლებელს გახდიდა სასაქონლო მატერიალური ფასეულობების სრულყოფილ აღრიცხვას, მოძრაობასა და კონტროლს. ცენტრალურ საწყობში მიღებული მასალები აღრიცხება Microsoft Excel-ის ფაილებში. აღრიცხვის პროცესი სრულად მანუალურია როგორც ცენტრალურ საწყობში, ასევე საწარმოს სხვა საწყობებში.

ორგანიზაციაში სუსტი კონტროლის მექანიზმების პირობებში არსებობს მარაგების დანაკარგის რისკი, რაც თავად ორგანიზაციამ გამოავლინა.⁴³

დელტას განმარტებით, თავდაცვის სამინისტროსთან კოორდინაციით მიმდინარეობს შესაბამისი პროგრამის შექმნა.

მასალები საწარმოებს გადაეცემა შესაბამისი მოთხოვნის საფუძველზე და ფორმდება მიღება-ჩაბარების დოკუმენტაცია. წარმოებიდან დარჩენილი ნედლეული ბრუნდება ცენტრალურ საწყობში, თუმცა არ ხდება წარმოების შემდგომ დარჩენილი მასალების რაოდენობის კონტროლი.

დელტას საწარმოების საცავებში ინახება არა მარტო მისი მატერიალური მარაგები, არამედ დაკავშირებული მხარეების აქტივები, რომლის იდენტიფიცირება და გამიჯვნა რიც შემთხვევებში შეუძლებელია. „დელტას“ განმარტებით, მიმდინარეობს დაკავშირებული მხარეების მიერ საკუთარი სასაწყობო მეურნეობების მოწყობა.

აუდიტის მიგნება

სამხედრო ქვედანაყოფებში არ არის დანერგილი საწყობის სპეციალიზებული პროგრამა, ასევე ქვედანაყოფების მიერ არ წარმოებს ანალიზური აღრიცხვა. ისინი ბუღალტრული აღრიცხვის სისტემის ნაცვლად, Microsoft Excel-ში აწარმოებენ ძირითადი აქტივების მხოლოდ რეესტრს, მათი ჯამური მონაცემების აღრიცხვა ხორციელდება სამინისტროს საბუღალტრო სამსახურის მიერ, რაც ზრდის ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული შეცდომების, ასევე ინფორმაციის დაცვასა და შენახვასთან დაკავშირებულ რისკებს.

აუდიტის მიგნება

სსიპ – გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმში ბუღალტრული აღრიცხვა წარმოებს Microsoft Excel-ის საშუალებით, თუმცა ეს აღრიცხვა არასრულყოფილი და არაზუსტია. კერძოდ, საბალანსო მუხლების ნაშთები და ბრუნვები და მოგება-ზარალის ბრუნვები არ შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ მონაცემებს. ბუღალტრული აღრიცხვის სპეციალიზებული პროგრამის არარსებობა ზრდის ფინანსურ ანგარიშგებაში შეცდომებით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს.

⁴³ 2020 წლის 10 დეკემბრის შიდა აუდიტის დასკვნა; MOD 5 20 01126856.

მიზეზი	საადრიცხო სისტემაში არსებული ნაკლოვანებები.
გავლენა	ფინანსური და ლოგისტიკური აღრიცხვის პროცესში არსებული შესაძლო უზუსტობები; მარაგების დანაკარგის რისკი.
რეკომენდაცია	მარაგების მართვაში არსებული პრობლემების აღმოსაფხვრელად, მნიშვნელოვანია დელტა დანერგოს შესაბამისი პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს მარაგების სათანადოდ აღრიცხვასა და კონტროლს. ამასთანავე, მნიშვნელოვანია შემუშავდეს ეკონომიკური მოვლენების ამსახველი დოკუმენტების წარმოების ისეთი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს აქტივების მართვისა და კონტროლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებას. კადეტა სამხედრო ლიცეუმმა უზრუნველყოს სრულყოფილი და ზუსტი ბუღალტრული აღრიცხვა. სამხედრო ქვედანაყოფებმა უზრუნველყონ საწყობის სპეციალიზებული პროგრამის დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს სრულყოფილ ანალიზურ აღრიცხვასა და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული შეცდომების, ასევე ინფორმაციის დაცვასთან, შენახვასა და თაღლითობასთან დაკავშირებული რისკების შემცირებას.
კომპონენტ(ებ)ი, რომელზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად	სამინისტროს აპარატი, დელტა, ლიცეუმი

1.10 შრომის ანაზღაურების პროცესში არსებული ნაკლოვანებები

აუდიტის მიგნება	შრომის ანაზღაურების პროცესი სამინისტროს სტრუქტურის სირთულისა და კომპლექსურობის გამო ხასიათდება სხვადასხვა კონტროლის ნაკლოვანებებით: • სამინისტროს სტრუქტურაში შემავალი ქვედანაყოფების სამოქალაქო, სამხედრო და სპეციალური წოდების მქონე პირების
------------------------	---

აღრიცხვიანობა წარმოებს ბრძანებების⁴⁴ შესაბამისად, მხოლოდ მატერიალური სახით – პირადი შემადგენლობის აღრიცხვის წიგნებში, სამსახურებრივი ჩანაწერების უბის წიგნებსა და სადღეღამისო უწყისებებში. სამინისტროს ქვედანაყოფებში არსებული დასწრება-აღრიცხვის სისტემა ვერ უზრუნველყოფს სამუშაო საათებში მომუშავეთა გადაადგილების ეფექტიან კონტროლს;

- ქვედანაყოფების მიერ მოსამსახურეებისა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურების გაანგარიშება ხორციელდება „ხელფასების დარიცხვის პროგრამით“, მაგრამ პროგრამას არ აქვს მონაცემთა სრულყოფილი შენახვის სისტემა – არ ინახება მოსამსახურის ისტორია და თანამშრომლების შესახებ ხელმისაწვდომია მხოლოდ მიმდინარე ინფორმაცია. შედეგად, შეუძლებელია ხაზინისა და სახელფასო პროგრამებიდან ამოღებული წინა პერიოდების უწყისების შედარება. აღნიშნული წარმოადგენს კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებას. სამინისტროს განმარტებით, აღნიშნული ხარვეზის გამოსასწორებლად დაგეგმილია ახალი სახელფასო პროგრამის შემუშავება;
- 2019 წლიდან სამინისტროს ქვედანაყოფების შესაბამისი⁴⁵ სამსახურები თანამშრომელთა სიითი შემადგენლობის ზუსტი ოდენობის განსაზღვრისთვის იყენებენ „ადამიანური რესურსების მართვისა და ანგარიშგების“ მოდულს (შემდეგ – HRMS). HRMS სისტემის დანერგვამდე სამინისტროში გამოიყენებოდა მსგავსი ტიპის პროგრამა სახელწოდებით „ფარი“. აღსანიშნავია, რომ „ფარში“ არსებული მონაცემების თანამშრომელთა შესახებ შეიცავდა გარკვეულ უზუსტობებს, ხოლო აღნიშნული პროგრამიდან HRMS-ში მონაცემების გადმოტანისას, უზუსტობების გამოვლენა და შეცდომების გასწორება ცენტრალურ დონეზე არ განხორციელებულა. სამინისტროს მიერ წინა პერიოდში არსებული ინფორმაციული უზუსტობების გასწორება პერიოდულად ხორციელდება. გარდა ამისა, HRMS მოდულში მომუშავე თანამშრომლებს აქვთ წინა პერიოდების ინფორმაციის რედაქტირების⁴⁶ შესაძლებლობა, რაც წარმოშობს მნიშვნელოვან რისკებს.

⁴⁴ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 1998 წლის 23 მარტის N94 ბრძანება „დარიცხვა საქართველოს შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის აღრიცხვის წარმოების შესახებ“ და საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის 2005 წლის 23 ივნისის ბრძანება N191 „საკონტრაქტო (პროფესიული) სამსახურის სამხედრო მოსამსახურეთა სამსახურის წესის, კვების ორგანიზების და პირადი შემადგენლობის აღრიცხვიანობის შესახებ (ოცეული, ასეული, ბატალიონი, ბრიგადა)“ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.

⁴⁵ ადამიანური რესურსების მართვის სამსახური (G-1), საფინანსო სამსახური (S-1).

⁴⁶ შეუძლავა HRMS მოდულში, მისი ხედვის არეში მყოფი ნებისმიერი თანამშრომლის შესახებ საიდენტიფიკაციო მონაცემების ცვლილება.

	დელტას შრომის ანაზღაურების დარიცხვა/გადარიცხვის პროცესის აღსრულებაში ძირითადად მონაწილეობს ბუღალტრული აღრიცხვის სამმართველო და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი. შრომის ანაზღაურების პროცესი ხასიათდება სხვადასხვა კონტროლის ნაკლოვანებებით. დელტას ტერიტორიაზე მანქანით შესული თანამშრომლების შესვლა-გასვლის აღრიცხვა ხდება მანუალურად, ასევე „დელტას“ ტერიტორიის ერთ-ერთ შესასვლელთან არ მოქმედებს ტურნიკეტები და აღრიცხვა წარმოებს ჟურნალებში ხელით (დაცვის თანამშრომელი ავსებს სპეციალურ ჟურნალს, რომელსაც ყოველი კვირის ბოლოს დასკანერებული სახით აწვდის კადრებს), რაც არ გამორიცხავს უზუსტობებს.⁴⁷
მიზეზი	დასაქმებულ პირთა ანაზღაურების გაანგარიშება პროგრამული ხარვეზებით; შრომის ანაზღაურების პროცესში არსებული არასათანადო კონტროლი.
გავლენა	შრომის ანაზღაურების არასრულყოფილი კალკულაცია.
რეკომენდაცია	სამინისტროსა და დელტას მიერ შემუშავდეს და დაინერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომელიც ხელს შეუწყობს შრომის ანაზღაურების სრულყოფილ დაანგარიშებას.
კომპონენტი(ებ)ი, რომელზეც გაიცა რეკომენდაცია	სამინისტროს აპარატი, დელტა

⁴⁷ დელტას განმარტებით, უახლოეს პერიოდში დაგეგმილია მანქანით შემოსული თანამშრომლების აღრიცხვა.

2. ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული კორექტირებები

2.1 მარაგების არასწორი აღრიცხვა

აუდიტის მიგნება კომპონენტ(ებ)ი, სადაც გამოვლინდა დარღვევა	სამინისტროს ერთ-ერთი ქვედანაყოფის მიერ წარმოებულ სახელობით რეესტრსა და თავდაცვის სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემებს შორის „მატერიალური მარაგების“ მუხლში გამოვლინდა სხვაობა 96,926,448 ლარის ოდენობით. პასუხისმგებელი პირების განმარტებით, სხვაობა უკავშირდება სპეციფიკური დანიშნულების მარაგებს, რომლებიც აპარატის მიერ აღრიცხული იყო ერთიან კომპლექტად, ხოლო ქვედანაყოფს აღრიცხული ჰქონდა ფასის გარეშე.⁴⁸ დაუდგენელია, ამ აქტივების რა ნაწილი აკმაყოფილებს მარაგად აღიარების კრიტერიუმებს და რა ნაწილი უნდა იქნეს კლასიფიცირებული ძირითად აქტივად.⁴⁹ სამინისტროს აპარატი
აუდიტის მიგნება კომპონენტ(ებ)ი, სადაც გამოვლინდა დარღვევა	სამინისტროს სისტემაში შემავალი ორი ქვედანაყოფის⁵⁰ მიერ 2019 წელს გახარჯული 15,418,146 ლარის ღირებულების მატერიალური მარაგების ჩამოიწერა ბუღალტრულად აისახა 2020 წელს. სამინისტროს აპარატი
აუდიტის მიგნება კომპონენტ(ებ)ი, სადაც გამოვლინდა დარღვევა	დელტას „ნედლეულის და მასალების“ მუხლში ნაშთად ირიცხება 6 ერთეული სატრანსპორტო საშუალება, ჯამურად – 1,156,554 ლარის ღირებულებით, რაზეც 2020 წელს განხორციელდა საწარმოო სამუშაოები და შეიქმნა მოდიფიცირებული ტექნიკა. თუმცა, ფინანსურ ანგარიშგებაში აქტივები წარმოდგენილია თავდაპირველი ღირებულებით და არ არის ასახული მათზე განხორციელებული კაპიტალური დანახარჯები. დელტა

⁴⁸ აღნიშნული მარაგები მიღებულია 2007-2008 წლებში.

⁴⁹ სამინისტროს განმარტებით, 2021 წელს მოხდა აქტივების სწორი კლასიფიკაცია.

⁵⁰ განათლების სარდლობა და აღმოსავლეთ სარდლობის საბრძოლო-საინჟინრო ბატალიონი.

2.2 არაფინანსური აქტივების არასწორი კლასიფიკაცია

აუდიტის მიგნება	2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, აპარატის „სამხედრო იარაღის სისტემების“ მუხლი მოიცავდა 60,215,379 ლარის ღირებულების, კომპლექტის სახით აღრიცხულ აქტივს. 2020 წელს აპარატმა ჩამოწერა 4 ერთეული 23,391,754 ლარის აქტივი,⁵¹ რომელიც წარმოადგენდა კომპლექტის ნაწილს. ჩვენ ვერ მოვიპოვეთ რწმუნება ჩამოწერილი აქტივების ღირებულების სიზუსტის შესახებ. ასევე დარჩენილი 36,490,644 ლარი მოიცავს დაშლილ მდგომარეობაში არსებულ აქტივებს და სწავლებისა და ტრენინგების მომსახურების ღირებულებას. ჩვენ ვერ მივიღეთ რწმუნება, 36,490,644 ლარის აქტივებიდან⁵² რა ნაწილი აკმაყოფილებს ძირითად საშუალებად აღიარების კრიტერიუმს. სამინისტროს განმარტებით, 2021 წელს მიმდინარეობს ღონისძიებები⁵³ აღნიშნული ხარვეზის გამოსასწორებლად.
კომპონენტ(ებ)ი, სადაც გამოვლინდა დარღვევა	სამინისტროს აპარატი
აუდიტის მიგნება	სამინისტროს სისტემაში შემავალი ერთეულების ბალანსზე აღრიცხულია 40,597,647 ლარის საცხოვრებელი შენობები, რომლებიც არ იმყოფება მათ ფაქტობრივ სარგებლობაში. მაგალითად, სამინისტროს ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულია სამხედრო მოსამსახურეებზე პრივატიზებული, საკუთრებაში გადაცემული, საცხოვრებელი ბინები.
კომპონენტ(ებ)ი, სადაც გამოვლინდა დარღვევა	სამინისტროს აპარატი
აუდიტის მიგნება	2015 წელს დელტამ სს „თამ“ თბილავიამშენს დაუბრუნა უზუფრუქტით გადმოცემული⁵⁴ უძრავი ქონების ნაწილი, რომელიც მოიცავდა საამწყობო საწარმოს შენობას⁵⁵ და ადმინისტრაციული შენობის ნაწილს.⁵⁶ საწარმოს შენობა დელტას ბალანსიდან ჩამოწერა 2020 წელს,⁵⁷ ადმინისტრაციული შენობის ნაწილი კვლავ ირიცხება მის ბალანსზე;

⁵¹ 2007 წელს მიღებული სხვადასხვა დასახელების და კლასიფიკაციის ქონება.

⁵² ერთ-ერთი ქვედანაყოფის ბალანსზე.

⁵³ 2021 წლის 27 აპრილის N155 ბრძანებით შეიქმნა კომისია, რომელსაც დაევალა სამხედრო დაზვერვის დეპარტამენტზე რიცხული (2019 წლის 30 დეკემბრის N0795 და 2020 წლის 11 სექტემბრის N0709 მიღება-ჩაბარების აქტებით მიღებული) ქონების ფინანსური ღირებულების განსაზღვრის, ტექნიკური მდგომარეობის დადგენისა და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, ქონების ჩამოწერის თაობაზე რეკომენდაციების წარმოდგენა და ჩამოწერისთვის საჭირო პროცედურების განსახორციელებლად სამხედრო დაზვერვის დეპარტამენტის მხარდაჭერა. სამინისტროს განმარტებით აუდიტის ანგარიშის დამტკიცების მომენტისათვის კომისიის მუშაობა დასრულებულია და შესაბამისი ოქმი დასამტკიცებლად წარედგინება თავდაცვის ძალების მეთაურს, რომლის დამტკიცების შემდგომ მოხდება ამ ინფორმაციის ასახვა ფინანსურ ანგარიშგებაში.

⁵⁴ 2013 წლის 20 მაისი, უზუფრუქტის ხელშეკრულება N16/სს.

⁵⁵ ს/კ: 01.19.35.007.082 - ნარჩენი საბალანსო ღირებულება შეადგენს 391,532.68 ლარს.

⁵⁶ ადმინისტრაციული კორპუსის მე-3 და მე-4 სართულები, რომელთა ღირებულებები არ არის განსაზღვრული.

⁵⁷ 2020 წლის 30 ოქტომბრის მიღება-ჩაბარების აქტი (უნომრო).

	დელტას ბალანსზე ირიცხება 21,375,056 ლარის საბალანსო სპეციფიკური აქტივი, რომლის საკუთრების უფლება 2012 წელს გადაეცა სამინისტროს. ⁵⁸
კომპონენტ(ებ)ი, სადაც გამოვლინდა დარღვევა	დელტა
აუდიტის მიგნება	2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დელტას ბალანსზე „ინტელექტუალური საკუთრების სხვა პროდუქტების“ ანგარიშზე ირიცხება 4,568,178 ლარის ღირებულების აქტივი, რომელიც მოიცავს როგორც დაშლილ მდგომარეობაში დასაწყობებულ აქტივების, ასევე დელტას წარმოების შესაძლებლობის განსაზღვრის მიზნით შესყიდულ მომსახურებას,⁵⁹ რომლის ფარგლებშიც ჩატარებულია ტრენინგები. ორგანიზაციისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეუძლებელია აქტივისა და მომსახურების ღირებულების ერთმანეთისგან გამიჯვნა. დელტას მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი აქტივის სამომავლო გამოყენების გეგმა.⁶⁰ აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ დავრწმუნდით, რამდენად არის მოსალოდნელი აღნიშნული აქტივისგან რაიმე სახის სარგებლის მიღება და რამდენად აკმაყოფილებს ის აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.⁶¹
კომპონენტ(ებ)ი, სადაც გამოვლინდა დარღვევა	დელტა

2.3 ძირითად აქტივებზე ცვეთის დარიცხვა

აუდიტის მიგნება	2020 წელს დელტას ბალანსზე რიცხულ 25 ერთეულ ძირითად აქტივზე განხორციელდა წინა წლებში დაურიცხავი ცვეთის დარიცხვა ჯამურად – 150,050 ლარის ოდენობით.⁶² ოპერაცია ნაცვლად წინა პერიოდის შეცდომების კორექტირებისა, აისახა მიმდინარე ცვეთის ხარჯის ანგარიშზე. „დელტას“ ბალანსზე რიცხულ 119 ძირითად აქტივზე არ არის დარიცხული ცვეთის ხარჯი – 326,645 ლარის ოდენობით. შესაბამისად, 2020 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „ძირითადი აქტივების“ მუხლის საწყისი ნაშთი წარმოდგენილია გაზრდილად, 150,050 ლარის ოდენობით, ხოლო 2020 წლის
------------------------	---

⁵⁸ ხარვეზი გამოწორებულია 2021 წელს.

⁵⁹ ადგილობრივი პერსონალის მომზადება და მუდმივი კვალიფიკაციური კონსულტაციების გაწევა.

⁶⁰ სამინისტროს განმარტებით პროექტის ათვისების პროცესი დაწყებულია.

⁶¹ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის 2021 წლის 28 აპრილის N01982 წერილის (გრივით „საიდუმლო“) მიხედვით. მიმდინარეობს გამოძიება.

⁶² აქტივები მიღებულია 2009, 2015, 2016 წლებში.

	„ცვეთის ხარჯის“ მუხლი – 218,437 ლარით შემცირებულად არის წარმოდგენილი.
კომპონენტ(ებ)ი, სადაც გამოვლინდა დარღვევა	დელტა

2.4 სამინისტროს აპარატის მიერ 2020 წელს განხორციელებული არაფინანსური აქტივების კორექტირებები

აუდიტის მიგნება	სამინისტრომ 2020 წელს განახორციელა მარაგებისა და ძირითადი აქტივების კორექტირებები, კერძოდ: • „სხვა დანარჩენი მასალებისა და მარაგების“ მუხლის საწყისი ნაშთი შემცირდა 311,346,362 ლარით, მათ შორის, 307,718,266 ლარის კორექტირების საფუძველს წარმოადგენდა ჯლუსს, ქვედანაყოფებს და აპარატს შორის განხორციელებული ურთიერთშეღებები.⁶³ კორექტირების საფუძვლის⁶⁴ მიხედვით, გამოვლენილი უზუსტობები მომდინარეობს 2016 წლიდან. „ძირითადი აქტივების“ მუხლი შემცირდა ჯამში 433,337,150 ლარის ოდენობით, კერძოდ: • აპარატის ფინანსების მართვის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა ქვედანაყოფების მიერ წარდგენილი⁶⁵ ინფორმაციისა და მათ მიერ ბუღალტრულად აღრიცხული თანხების შედარება.⁶⁶ „საცხოვრებელი შენობების“ და „სხვა ნაგებობების“ მუხლებში გამოვლენილი სხვაობები კორექტირებულია „წინა წლების შეცდომების გასწორების“ მუხლით; • 2020 წელს განხორციელდა „დაუმთავრებელი ძირითადი აქტივების“ მუხლის კორექტირება.⁶⁷ სამინისტროს განმარტებით, კორექტირების მიზეზს წარმოადგენდა ის, რომ აღნიშნული აქტივები აღრიცხული იყო როგორც „დაუმთავრებელი ძირითადი აქტივების“ მუხლში, ასევე „არასაცხოვრებელი შენობების მუხლში“, შესაბამისად, მოხდა დუბლირებულად ასახული აქტივების კორექტირება. თუმცა, აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ „დაუმთავრებელი ძირითადი აქტივების“ ნაწილი, ნაცვლად ჩამოწერისა, ექვემდებარებოდა „არასაცხოვრებელი შენობების“ მუხლში რეკლასიფიცირებას.⁶⁸
-----------------	--

⁶³ შედარება განხორციელდა საჟურნალო ჩანაწერების მეშვეობით.

⁶⁴ ფინანსების მართვის დეპარტამენტის 2021 წლის 6 აპრილის მოხსენებითი ბარათი N01179-ს (გრივით „საიდუმლო“).

⁶⁵ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2019 წლის 3 აპრილის N233 ბრძანება.

⁶⁶ სამხედრო აქტივებისა და ვალდებულებების რაოდენობრივ-თანხობრივი ინფორმაცია.

⁶⁷ კორექტირება განხორციელდა „წინა წლების შეცდომების გასწორების“ სახით.

⁶⁸ შენობის საშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები - 2014 წლის 4 ივლისის ხელშეკრულება 14/52 (წერილი N00290100, 01.04.2021).

შესაბამისად, 2020 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „არასაცხოვრებელი შენობების“ მუხლის შემცირებულად არის წარმოდგენილი, თუმცა ჩვენ ვერ შევძელით ზუსტი გავლენის დადგენა;

- „სხვა მანქანა დანადგარები და მოწყობილობების“ მუხლის კორექტირების დიდი ნაწილი (92%) გამოწვეულია სამინისტროს აპარატსა და ქვედანაყოფის ნაშთებს შორის შეუსაბამობით, რომელიც სამინისტროს განმარტებით მომდინარეობს 2016 წლიდან და დაკავშირებულია ქვედანაყოფების მიერ წლების განმავლობაში აქტივების მხოლოდ რაოდენობრივი, ღირებულების გარეშე აღრიცხვის სისტემასთან.

სამინისტროს მიერ „ძირითადი აქტივების“ მუხლის ფინანსურ ანგარიშგებაში უტყუარად და სამართლიანად წარდგენის მიზნით განხორციელებული ქმედებები დადებითად უნდა შეფასდეს, თუმცა ვერ მოხდა კორექტირებული ძირითადი აქტივების იდენტიფიცირება და არ განხორციელებულა უზუსტობების გამომწვევი მიზეზების დეტალური მოკვლევა.

კომპონენტ(ებ)ი, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

სამინისტროს აპარატი

3. კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შეუსაბამობის საკითხები

აუდიტის მიგნება

2020 წლის განმავლობაში სხვადასხვა ბრძანების საფუძველზე სამხედრო მოსამსახურეებზე გაცემული 3,274,535 ლარის ოდენობის დანამატი⁶⁹ არ არის სათანადოდ დასაბუთებული.

კომპონენტები, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

სამინისტროს აპარატი

⁶⁹ ბრძანებები (გრიფით „საიდუმლო“).

4. წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა

რეკომენდაცია N1

სამართლიანი და უტყუარი ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნით, სამინისტრომ შეიმუშაოს ერთიანი, სრულყოფილი ორგანიზაციული სისტემა და ინსტრუქცია, რომელიც უზრუნველყოფს სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტში წარდგენილი ინფორმაციის სანდოობას, ნაშთებისა და ოპერაციების ურთიერთშესაბამისობას, აღრიცხვის დროულობას, სისრულეს და სიზუსტეს. კერძოდ:

- ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლობამ, სამინისტროს დაქვემდებარებული სტრუქტურული ერთეულებისთვის შეიმუშაოს და გამოიყენოს ისეთი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის საფუძველზეც მიიღება აღქმადი, შესაბამისი, საიმედო და შესაბამისი ინფორმაცია ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენისათვის;
- სარდლობების ბუღალტრული აღრიცხვის სამსახურებმა უზრუნველყონ ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზება და კონტროლი როგორც სარდლობის, ისე შესაბამის სტრუქტურულ დაქვემდებარებაში არსებულ ქვედანაყოფებში;
- სამინისტრომ განაახლოს და დაამტკიცოს ქონების აღრიცხვის ორგანიზებისა და წარმოების წესების შესახებ 1994 წელს ბრძანებით დამტკიცებული სახელმძღვანელო, რომელიც შესაბამისობაში იქნება აღრიცხვა-ანგარიშგების მეთოდოლოგიის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან და უზრუნველყოფს აქტივებისა და ვალდებულებების შესაბამის აღრიცხვას;
- სამინისტრომ უზრუნველყოს როგორც სარდლობის, ისე შესაბამის სტრუქტურულ დაქვემდებარებაში არსებულ ქვედანაყოფებში საბუღალტრო პროგრამების დანერგვა/გამოყენება.
- სამინისტრომ უზრუნველყოს აღრიცხვა-ანგარიშგების პროცესში ჩართულ თანამშრომელთა შესაბამისი მომზადება/გადამზადება.

რეკომენდაციის შესრულების სტატუსი

მიმდინარე

რეკომენდაცია N2

სამართლიანი და უტყუარი ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნით, ჰოსპიტალმა ბუღალტრული აღრიცხვა აწარმოოს უწყვეტად, ბუღალტრული აღრიცხვის ერთიანი მეთოდოლოგიური პრინციპების დაცვით. ამასთანავე, მოამზადოს ბუღალტრულ ანგარიშთა გეგმის სტრუქტურა საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად და ანალიზური აღრიცხვა აწარმოოს ბუღალტრულ პროგრამაში.

რეკომენდაციის შესრულების სტატუსი

ნაწილობრივ შესრულებული

რეკომენდაცია N3

აქტივების დაცულობის უზრუნველსაყოფად, სამინისტრომ შეიმუშაოს ინვენტარიზაციის ჩატარების ერთიანი პოლიტიკა, ასევე სახელმძღვანელო

რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	სამინისტროს ქონების სპეციფიკის გათვალისწინებით და უზრუნველყოს შესაბამისი პროცედურების დაცვით ინვენტარიზაციის ჩატარება. მიმდინარე
რეკომენდაცია N4	დავალიანების ნაშთების რეალურობის დასადგენად, შეიქმნას მოთხოვნებისა და ვალდებულებების საინვენტარიზაციო კომისია. საინვენტარიზაციო კომისიამ დავალიანების ჩამოწერის მიზანშეწონილობის თაობაზე დასკვნის მომზადებისას, გაითვალისწინოს შემდეგი კრიტერიუმები: • იმეზნება თუ არა დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება ანგარიშზე რიცხული დავალიანების სისწორე და შესაძლებელია თუ არა სააღრიცხვო რეგისტრებში არსებული ჩანაწერებით ზუსტად და საიმედოდ კონტრაგენტების იდენტიფიცირება და დადგენა; • ანგარიშზე რიცხული ნაშთის წარმოშობის საფუძველი აკმაყოფილებს თუ არა აქტივის/ ვალდებულების აღიარების კრიტერიუმებს; • მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადები და სხვ.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	მიმდინარე
რეკომენდაცია N5	აქტივების მართვასა და აღრიცხვაში არსებული სისტემური პრობლემებისა და ხარვეზების აღმოსაფხვრელად, შემუშავდეს ისეთი პროცედურები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს სამინისტროს სტრუქტურული ერთეულებისა და საქონლის მიღება/შენახვა/აღრიცხვაზე პასუხისმგებელ ერთეულებს შორის მოქნილ და დროულ კომუნიკაციას, აქტივების სათანადო შეფასებას, აღრიცხვასა და კონტროლს.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	მიმდინარე
რეკომენდაცია N6	ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქტივების სისრულის და სიზუსტის, ანგარიშგების უტყუარი და სამართლიანი წარდგენის უზრუნველყოფის მიზნით, მნიშვნელოვანია სამინისტრომ და დელტამ: • უზრუნველყოს ბალანსზე რიცხული იმ შენობა-ნაგებობების ბალანსიდან ამოღება, რომლებიც არ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს; • ხარჯეფექტური მეთოდების გამოყენებით უზრუნველყოს ღირებულების გარეშე არსებული ქონების შეფასება და ბალანსზე ასახვა; • რესურსების დაზოგვის მიზნით, მიზანშეწონილია მიწების შეფასებისას მოხდეს შესაბამისი მუნიციპალიტეტების

	დადგენილებებით განსაზღვრული ნორმატიული ფასების გათვალისწინება.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	მიმდინარე
რეკომენდაცია N7	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით და კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესასრულებლად, მნიშვნელოვანია სამინისტროს მიერ განისაზღვროს და დამტკიცდეს ისეთი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს აღრიცხვა/ანგარიშგების მეთოდურ მითითებებსა და აღრიცხვის ერთიანი წესების დანერგვას სამინისტროს ყველა სტრუქტურულ ერთეულში.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	მიმდინარე
რეკომენდაცია N8	მნიშვნელოვანია, რომ დელტას მიერ წინასწარ დაიგეგმოს შეკვეთის სამუშაო მოცულობა და დასრულების ვადები, მკაფიოდ განისაზღვროს საწარმოო პროცესებში ჩართული მხარეების უფლება-მოვალეობები და შემუშავდეს საწარმოო პროცესებისთვის ისეთი სააღრიცხვო პოლიტიკა, რაც ხელს შეუწყობს მზა პროდუქციის მიღებამდე აქტივებისა და ხარჯების თანმიმდევრულ აღრიცხვასა და კონტროლს.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	მიმდინარე
რეკომენდაცია N9	აქტივების დაცულობის უზრუნველსაყოფად, დანაკლისებთან დაკავშირებით სამინისტრომ მოახდინოს შესაბამისი რეაგირება. კერძოდ, დაადგინოს სამართალდამცავი უწყებებისთვის გადაცემული საკითხების სტატუსი და გამოძიების შედეგები, ხოლო ისეთი დანაკლისები, რომელთა მიმართაც დაწყებული არ არის წარმოება, შემდგომი რეაგირებისთვის გადასცეს შესაბამის უწყებებს.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	ნაწილობრივ შესრულებული
რეკომენდაცია N10	აქტივების მართვასა და აღრიცხვაში არსებული სისტემური პრობლემებისა და ხარვეზების აღმოსაფხვრელად, შემუშავდეს ისეთი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს რაოდენობრივად წარმოდგენილი აქტივების სათანადო შეფასებას, აღრიცხვასა და კონტროლს.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	მიმდინარე

რეკომენდაცია N11	შემოსავლების მიღებისა და აღრიცხვის სრულყოფის მიზნით: სამინისტრომ უზრუნველყოს იჯარის ხელშეკრულების გაფორმება მის ტერიტორიაზე განთავსებული სავაჭრო აპარატების წარმომადგენლებთან.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	შესრულებული რეკომენდაცია
რეკომენდაცია N12	შემოსავლების მიღებისა და აღრიცხვის სრულყოფის მიზნით: დელტას მიერ შეიქმნას ჯართის მიღებისა და მისი შემდგომი რეალიზაციის ისეთი პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს ყველა ეტაპის შესაბამის აღრიცხვასა და კონტროლს.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	შესრულებული
რეკომენდაცია N13	ორგანიზაციის საწარმოო პროცესებისა და ორგანიზაციის სარგებლიანობის, ასევე შემოსავლების გაზრდის მიზნით, მნიშვნელოვანია „დელტამ“ განსაზღვროს საწარმოო შესაძლებლობები და მის საფუძველზე შეიმუშაოს შესაბამისი სტრატეგია, სამოქმედო გეგმა. ამასთანავე, უზრუნველყოს პროექტების განხორციელებისა და დროული დასრულებისთვის შესაბამისი მექანიზმების დანერგვა.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	ნაწილობრივ შესრულებული
რეკომენდაცია N14	დელტას მიერ შემუშავდეს და დაინერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც ხელს შეუწყობს შრომის ანაზღაურების დაანგარიშებისა და თანამშრომელთა დაწინაურების გამჭვირვალე და სამართლიანი პროცესის წარმართვას.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	ნაწილობრივ შესრულებული
რეკომენდაცია N15	დელტამ ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში უზრუნველყოს შვილობილ კომპანიებსა და მასთან დაკავშირებულ მხარეებთან დაკავშირებული ოპერაციების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება;

დელტამ უზრუნველყოს დაკავშირებულ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებების პირობების და მათი აღსრულების მექანიზმების იმგვარად ჩამოყალიბება, რომ ხელშეკრულების დარღვევისას არ მოხდეს ორგანიზაციისა და სამინისტროს ინტერესების დაზიანება.

რეკომენდაციის შესრულების სტატუსი

შეუსრულებელი რეკომენდაცია

რეკომენდაცია N16

მარაგების მართვაში არსებული პრობლემების აღმოსაფხვრელად, მნიშვნელოვანია დელტამ დანერგოს შესაბამისი პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს მარაგების სათანადოდ აღრიცხვასა და კონტროლს. ამასთანავე, მნიშვნელოვანია შემუშავდეს ეკონომიკური მოვლენების ამსახველი დოკუმენტების წარმოების ისეთი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს აქტივების მართვისა და კონტროლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებას.

რეკომენდაციის შესრულების სტატუსი

შეუსრულებელი რეკომენდაცია

საკონტაქტო ინფორმაცია

გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის პროცესზე პასუხისმგებელი პირი	თამარ ბარბაქაძე ჯგუფის უფროსი ელფოსტა: Tbarbaqadze@sao.ge
სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის სისტემა	https://aris.sao.ge/
ვებგვერდი და სოციალური მედია	https://www.sao.ge/ https://www.budgetmonitor.ge/ka http://www.blog.sao.ge/ http://www.sai.ge/main/ https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/ https://www.youtube.com/user/saogeorgia https://www.facebook.com/www.sao.ge
ცხელი ხაზი	(+995 32) 243 81 81
ელექტრონული ფოსტა	sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, ნმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE